საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

II

სამაგისტრო პროგრამები

2022

კატალოგი განკუთვნილია სტუდენტებისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურს, მიიღოს ინფორმაცია ფაკულტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

უნივერსიტეტის მისამართი:
0108, თბილისი,
რუსთაველის გამზირი # 19, აღმაშენებლის #40

ტელ.: 2 99 75 41
ვებ-გვერდი: www.tafu.edu.ge

კონტაქტი:

სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ნატო გენგიური
სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური : 2 99 94 11, შიდა ნომერი 162.

ტელ: + 995 32 2999-411

ფაქსი: + 995 32 2990-579

ელ-ფოსტა: info@tafu.edu.ge

ფაკულტეტზე სწავლა ხორციელდება სამ საფეხურზე:

ბაკალავრიატი – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 4 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი;

მაგისტრატურა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 2 წლიანი
სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციის მაგისტრის ხარისხი;

დოქტორანტურა - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 3-5 წლიანი
სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციის დოქტორის ხარისხი;

ფაკულტეტზე ხორციელდება 4 სამაგისტრო პროგრამა.

სამაგისტრო პროგრამები

1. ხელოვნების ისტორია და თეორია ---------- 4
პროგრამული კონცენტრაციებით:
თეატრმცოდნეობა კინომცოდნეობა ხელოვნებათმცოდნეობა ეთნო-ქორეოლოგია
2. არტჟურნალისტიკა ---------- 24
3. კულტურული ტურიზმი ---------- 30
4. ხელოვნების მენეჯმენტი---------- ---------- 35

ხელოვნების ისტორია და თეორია

(პროგრამული კონცენტრაციებით: თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნო-ქორეოლოგია)

სამაგისტრო პროგრამა

ზოგადი დახასიათება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი მისიის შესაბამისად, ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტის _ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის გაღრმავებული სწავლება, კვლევა და ხელოვნებათმცოდნეობითი დარგების განვითარება წინამდებარე პროგრამის მიზანია. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ხელოვნების დარგების – თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიის (კერძოდ, ეთნო- ქორეოგრაფიის), სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის გაღრმავებულ სწავლებასა და მათი შემდგომი კვლევისათვის სტუდენტ-მაგისტრანტთა მომზადებას.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამაგისტრო პროგრამის ამოცანაა ბაკალავრიატის შემდგომი დონის კვალიფიციური კადრების მომზადება, ხელოვნების დარგების სიღრმისეული სწავლება, სტუდენტთათვის ანალიტიკურ-კვლევითი და პედაგოგიური უნარების გამომუშავება.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან:
1. სასწავლო კომპონენტი (80 კრედიტი);
2. კვლევითი კომპონენტი (40 კრედიტი) – ეს კომპონენტი გულისხმობს კვლევითი, ანუ, სამაგისტრო ნაშრომის ეტაპობრივ შესრულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს არგუმენტირებულ კვლევას და მის დაცვას/ საჯარო პრეზენტაციას.

“ხელოვნების ისტორიისა და თეორიის” სამაგისტრო პროგრამა მოიცავს შემდეგ პროგრამულ კონცენტრაციებს:

თეატრმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნო-ქორეოლოგია

სამაგისტრო პროგრამის თითოეული პროგრამული კონცენტრაცია სამაგისტრო აკადემიურ დონეზე ავითარებს დარგის მახასიათებელ სპეციფიურ თავისებურებებს და შეიცავს კონკრეტულ კვლევით პრობლემატიკას. თუმცა, მათ აერთიანებთ სწავლების ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი პროგრამული კონცენტრაციისთვის ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით. შესაბამისად, პროგრამაში ქვემოთ დეტალურად არის წარმოდგენილი თითოეული პროგრამული კონცენტრაციის ვერბალური აღწერა, მიზნები, შედეგები და კომპეტენციები შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და შეფასების სისტემის თანხლებით.
შენიშვნა: პროგრამული კონცენტრაციები მათი მოცულობისა და მასშტაბური ვერბალური აღწერის გათვალისწინებით, სტუდენტთათვის აღქმის თვალსაზრისით რაიმე სირთულეების თავიდან ასაცილებლად, ქვემოთ ზოგჯერ მოხსენიებულია ტერმინით ”პროგრამა”.

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	პროგრამული კონცენტრაცია: **თეატრმცოდნეობა**
მიმართულება	ჰუმანიტარული მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი (თეატრმცოდნეობა)
პროგრამის/ ქვემიმართულების ხელმძღვანელი	**გიორგი ცქიტიშვილი,** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ტ. 877288708 ქვემიმართულების ხელმძღვანელები: **მაია კიკნაძე,** ხელოვნებთმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ტ. 899729521 **მარინა ხარატიშვილი,** ასოც. პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, აქედან 40 კრედიტი – კვლევითი, 80კრედიტი - სასწავლო. 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს შესაძლებელია ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი. ბ) ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის და სპეციალობის გამოცდის წარმატებული ჩაბარება. გ) შიდასუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც, რაც დასტურდება ბაკალავრის/მაგისტრის დიპლომით ან შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით.
მაგისტრანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	პროგრამაში წარმოდგენილ მოდულებში ასახული სამი მიმართულება – `თანამედროვე ევროპული თეატრი“, `სათეატრო კრიტიკა და თეორია“ და `ქართული თეატრის ისტორია“ - საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს აირჩიონ სამაგისტრო საფეხურზე თეატრმცოდნეობის დარგის შესწავლის მათთვის სასურველი კუთხე და არჩეული მიმართულებით დაეუფლონ სამაგისტრო საფეხურის სტანდარტების მიხედვით საგანგებოდ მოდელირებულ ცოდნას. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი არჩევანი უზრუნველყოფს მაგისტრანტებს აუცილებელი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და უნარ-ჩვევებით. ისინი შეიძენენ ჰუმანიტარული მეცნიერებების (თეატრმცოდნეობა) მაგისტრისათვის აუცილებელ ანლიტიკურ, კრიტიკულ და პროფესიულ მიდგომებს, გაიღრმავებენ ცოდნას როგორც ზოგადად სფეროს, ისე მისი კონკრეტული ასპექტების მიმართულებით.

	მოცემული მოდულებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს. სტუდენტი ვალდებულია არჩევანი გააკეთოს I სემესტრის დასაწყისში. პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის (თეატრმცოდნეობა) კვალიფიციის მქონე სპეციალისტები, რომლებიც თანამედროვე სტანდარტების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვის დონეზე დაუეფლებიან არჩეულ სპეციალობას, ექნებათ ღრმა და სისიტემური ცოდნა თეატრის ისტორიის და თანამედროვეობის სფეროში, ცალკეული სპექტაკლის ღრმა ანალიზის უნარი, განვითარებული კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, შეეძლებათ კომპლექსური ამოცანების გადაჭრა, პროფესიული კვლევის დამოუკიდებელი წარმოება, ექნებათ პრაქტიკული გამოცდილების თეორიული განზოგადების, კვლევის ჩატარებისა და სამეცნიერო სტანდარტის მიხედვით ნაშრომის/სტატიის შექმნის უნარი და ა.შ. სიტუაციისა და ამოცანის შესაბამისად გამოიყენონ შეძენილი ცოდნა როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვადსხვა ტიპის კომუნიკაციის პროცესში როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიონალებთან ურთიერთმიმართებასა და თანამშრომლობაში. პროფესიული თეატრმცოდნეობითი ცოდნის, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით გამოვლენისა და განვითარების უნარი.
შედეგები	**ა) ცოდნა და გაცნობიერება** უახლესი თეორიული და საგნის კვლევებზე დამყარებული ღრმა ცოდნა თეატრის ისტორიის (მსოფლიო/ქართული) სფეროში. თეატრმცოდნეობის სფეროს თავისებურებების და მისი შესწავლის პროცესის დიალექტიკური მუდმივობის გაცნობიერება; თეატრმცოდნეობის საგნის ფარგლებისა და საკვლევი საკითხების ცოდნა და მათი ერთიანობის გაცნობირება; თეატრალური პროცესის ისტორიული განვითარების ეტაპების ცოდნა და მათი კვლევისადმი მეთოდოლოგიურ მიდგომათა გაცნობიერება; თეატრალური კულტურისა და ზოგადად მსოფლიო კულტურული პორცესის ურთიერთმიმართების ფორმათა ცოდნა და გაცნობიერება; ეროვნული სათეატრო პროცესის ევროპულსა თუ მსოფლიო პროცესში კვლევის ცოდნა; თანამედროვე თეატრალური პროცესის კრიტიკულ-თეორიული კვლევის ფორმათა და მეთოდთა ცოდნა და ისტორიულ პროცესთან მისი კავშირის გაცნობიერება; სათეატრო პროცესის ზოგადდარგობრივი თვისობრიობისა და ნაციონალური თავისებურებების დიფერენციაციის საფუძველთა ცოდნა და მათი ინტეგრალური ერთიანობის გაცნობიერება; **ბ) უნარი** თეატრის ისტორიის (მსოფლიო, ქართული) საკითხების სხვისთვის გადაცემის უნარი; თეატრალური პროცესის თეორიული ანალიზის ასპექტების და მათი თანმიმდევრული თუ შერჩევითი გამოყენების უნარი; თეატრალური კულტურისა და სათეატრო პროცესის შემადგენელი ელემენტების ცოდნა და ახალი ელემენტების (ასეთების წარმოქმნის შემთხვევაში) გაცნობიერების უნარი; თეატრის ეთნიკურ-ნაციონალური თუ სტილისტურ-ეპოქალური და კონცეპტუალური მიდგომებით კვლევის თავისებურებათა ცოდნა და მათი ანალიზის ფორმათა გაცნობიერებული დიფერენციაციის უნარი; თეატრალური წარმოდგენის, თეატრალური პროცესის არსებობის განსხვავებული ფორმების ცოდნა და გაცნობიერება; პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს დარგში მიმდინარე აქტუალური პროცესების კვალიფიკაციის მეთოდების ცოდნა და მათი გაცნობიერების კვალიფიკაცია;

	თანამედროვე მულტიდიციპლინარული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებისა და ადაპტაციის უნარი. დარგში არსებულ პრობლემებსა და დილემებს გაცნობიერება და მათი გადაჭრა პროფესიულ პრაქტიკაში ახალი და თანამედროვე მეთოდებისა და ანალიტიკური მიდგომების გამოყენებით; თეატრმცოდნეობის დარგის შესწავლის მეთოდებისა და კომპლქსური მიდგომების დამოუკიდებელი პრატქიკული გამოყენების უნარი დარგობრივ სფეროსთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების/პრობლემების გადასაჭრელად; პროფსიული ამოცანების დამოუკიდებელი პრაქტიკული დაგეგმვა, მათი შესრულების პროცესის წარმართვა და განხორციელება პროფესიულ დონეზე. შეუძლია ახალი სამეცნიერო საკითხის განსაზღვრა, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; აკადემიურ და პროფესიულ წრეებთან (როგორც ადგილობრივ ისე უცხოელ), აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით, არგუმენტირებული მსჯელობის, საკუთარი პოზიციის კომუნიკაციაში გაზიარების კვალიფიკაცია; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფორმაციული მოძიებისა და კომუნიკაციის პროცესში გამოყენების უნარი. დასკვნის უნარი თეატრალური სფეროს მოვლენების შედარებითი ანალიზისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების ფორმულირების უნარი; თეატრალური სფეროს მოვლენების შეპირისპირებითი ანალიზისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების ფორმულირების უნარი. **ვ) პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა** ხელოვნების ღირებულების გაცნობიერებისა და დიფერენციაციის უნარი; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი; ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შექმნის უნარი. არაპროგნოზირებადი სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს: თეატრებში: თეატრის ლიტერატურული ნაწილის საქმიანობა; თეატრალური მუზეუმისა თუ თეატრებთან არებული მუზეუმების თანამშრომლად; საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფიელების თანამშრომლად; თეატრალური რეჟისორის თანაშემწედ; ასევე შესძლებს შეასრულოს თეატრის სტრუქტურაში სხვა სახის შემოქმედებით ადინისტრაციული საქმიანობა; ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში: ხელოვნებასა და თეატრთან დაკავშირებული გადაცემების ავტორებად,

	რედაქტორებად, პროდიუსერებად და ა.შ. პედაგოგიური საქმიანობა: უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში თეატრმცოდნეობითი და ხელოვნებათმცოდნეობითი საგნების პედაგოგებად; დრმატული წრეების ხელმძღვანელებად; სამთავრობო და არსამთავრობო სექტორებში თეატრისა და ზოგადად კულტურის საკითხებთან დაკავშირებულ თანამდებობებზე – მაგ., პროექტების კოორდინატორებად, მენეჯერებად და ა.შ. გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში.. ყოველივეს განხორციელება შესაძლებელია შემდეგ ორგანიზაციებში: უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, კვლევითი ცენტრი; პროფესიული სასწავლებელი; კოლეჯი და სხვ. არასამთავრობო ორგანიზაციები; სამთავრობო ორგანიზაციები: სამინისტროები, ქალაქისა და რაიონის თვითმმართველობის კუტლურის განყოფილებები; სხავდსხვა კომერციულ დაწესებულებებთან არსებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქველმოქმედო ცენტრები; ტელევიზიები; მათ შორის ინტერნეტელევიზიები; რადიოსადგურები; ჟურნალები; გაზეთები; ალმანახები; თეატრები, როგორც დრამატული, ისე მუსიკალურ-დრამატული და ა.შ.
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	პროგრამული კონცენტრაცია: კინომცოდნეობა
მიმართულება	ჰუმანიტარული მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი (კინომცოდნეობა)
პროგრამის ხელმძღვანელი/ები	ზვიად დოლიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. ტ. 327373, მობ. 855307040 e-mail: ლელა ოჩიაური, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. ტ.; 324645. მობ. 899578174, 877288775. e-mail:
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, აქედან 40 კრედიტი – კვლევითი, 80კრედიტი - სასწავლო. 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს შესაძლებელია ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი. ბ) ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის წარმატებული ჩაბარება. გ) შიდასუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც, რაც დასტურდება ბაკალვრის/მაგისტრის დიპლომით ან შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით.
მაგისტრანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 6-10 მაგისტრანტის მიღება.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	პროგრამის კონცეფცია პროგრამა გათვლილია საბაკალავრო საფეხურის ზოგადინფორმაციული ხასიათის განათლების შემდგომ განვითარებაზე. პროგრამა ითვალისწინებს სამ სასწავლო-კლევით მიმართულებას, შესაბამისად წარმოდგენილს სამ მოდულში: 1. ქართული კინოს ისტორია ეპოქებში - ხელმძღვანელი ლელა ოჩიაური 2. კინოს ენა და სტრუქტურა _ ხელმძღვანელი ლელა ოჩიაური , თანახელმძღვანელი – მანანა ლეკბორაშვილი 3. მსოფლიო კინოს ისტორიის ძირითადი ტენდენციები _ ხელმძღვანელი ზვიად დოლიძე მოცემული მოდულებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს. სტუდენტი ვალდებულია არჩევანი გააკეთოს I სემესტრის დასაწყისში.

	პროგრამის მიზანია: მაგისტრებს საფუძვლიანად შეაწავლოს საქართველოსა და მსოფლიოს კინემატოგრაფიული ქვეყნების კინოს განვითარების პერიოდები, ტენდენციები, მიმართულებები, თავისებურებები; გამოუმუშავოს კრიტიკული აზროვნების უნარი, სათანადო პროფესიულია და ეთიკური უნარ-ჩვევები; პროგრამამ უნდა მიაჩვიოს სტუდენტები ფილმის „ფორმალისტურ" ანალიზს, დაეხმაროს მათ დაეუფლონ სემიოტიკისა და კომუნიკაციის თეორიის მეთოდებს, რომელიც ახალ რაკურსში წარმოაჩენს კინოს ისტორიას და გაზრდის ზოგიერთი დავიწყებული კინოშედევრის მნიშვნელობას; თანამედროვე ტიპის მკვლევარი-მეცნიერის, თეორეტიკოსისა და კინოს ისტორიკოს-თეორეტიკოსის აღზრდა; მეცნიერული ნაშრომისა და მეცნიერული სტატიის მომზადებისა და წერის უნარის განვითარება, რაც აისახება საკონფერენციო მოხსენების,სტატიის და შემდგომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში; აკადემიური, პედაგოგიური მოღვაწეობის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის მომზადება; დამოუკიდებელი მეცნიერ-მკვლევარის აღზრდა, რომელიც შეძლებს ქართულ და მსოფლიო კინოხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისა და ახალი ტენდენციების აღმოჩენასა და პროფესიულ დონეზე გააზრებას, საზოგადოებისთვის გაზიარებას.
შედეგები	**ა) ცოდნა და გაცნობიერება** ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიის, კინოთეორიის ღრმა და სისტემური ცოდნა; კინოს სოციოლოგიის, კინოფილმის, კინოხელოვნების საზოგადოებაზე ზემოქმედების გაცნობიერება; კინოს ისტორიისა და თეორიის, პოლიტიკურ-სოციალური და ისტორიული მიმართებებისა და კინოხელოვნების ურთიერთობის საკითხების გაცნობიერება; კინოხელოვნების ნიმუშის, ამა თუ იმ მიმდინარეობის, მოვლენის აღქმისა და ანალიზის ხერხების ცოდნა; მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული და ნაკლებპრიორიტეტული ფაქტები თუ მოვლენები, ტენდენციები და მიმდინარეობები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ და აქვთ კინოს თეორიაში; ხელოვნების, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითრებისგან განუყოფელი სფეროსა და შემოქმედებით-პრაქტიკულ შესაძლებლობების მქონე დარგის გააზრება; თანამედროვე კვლევების, მნიშვნელოვანი საკითხების ცოდნა, როგორც კინემატოგრაფის, ასევე ზოგადკულტუროლოგიურ, ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ მოძღვრებათა სფეროებში; **ბ) უნარი** წერითი და ზეპირი ფორმით მხატვრული ნაწარმოების მეცნიერულ გაანალიზებისა და ცოდნის გამოყენების უნარი ამა თუ იმ კინემატოგრაფიული მოვლენის, ფაქტის ანალიზის პროცესში; უმაღლეს სასწავლებელში სალექციო კურსების მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე წარმართვის უნარი და კრიტიკული დამოკიდებულების ჩამოყალიბების უნარი; კვლევის დამოუკიდებლად წარმოება სწავლის პერიოდში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით; ცოდნის გადაცემა პროფესიული და არაპროფესიული საზოგადებსთვის, მ.შ. ახალგაზრდა მკვლევარებს, სასწავლებლების მსმენელებს; კინოსა და ტელევიზიის, როგორც შემოქმედებითი მოვლენისა და როგორც ინდუსტრიის აღქმა-გააზრების უნარი; ქართული თუ მსოფლიო კინოპრობლემების, თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე

	პროცესების შესწავლის, რთული, არასრული მონაცემების ანალიზის და ახალი, არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი; ახალი მიდგომების სინთეზირების, კინოხელოვნების კვლევის სფეროში ახალი მეთოდოლოგიის განვითარებას შესაძლებლობის უნარი; 3) **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** ხელოვნების, კონკრეტულად კი კინოხელოვნების როგორც ღირებულების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; თავისი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. საკუთარი სწავლის, თვითგანვითარების დამოუკიდებლად წარმართვის უნარის ფლობა.
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებლებში; შესაბამის მუზეუმებსა და არქივებში კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობა (ხელმძღვანელ პოზიციაზე); სამეცნიერო და ადმინისტრაციული საქმიანობა კვლევით- სამეცნიერო დაწესებულებებში; სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში სახელოვნებო მიმართულებით ადმინისტრაციული ან მკვლევარ-ექსპერტის სამუშაოს შესრულება; დამოუკიდებელი ექსპერტის, მკვლევარის, სტატუსით მუშაობა; პროექტის დაგეგმვა, ამოცანების განსაზღვრა და განხორციელება, თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან; სამეცნიერო ჯგუფში მუშაობა, როგორც კონკრეტული ამოცანის შემსრულებლის, ისე ჯგუფის ხელმძღვანელის რანგში; მუშაობა კინოსტუდიებში, კინოკომპანიებში _ კინომცოდნის, რედაქტორის, ექსპერტის რანგში; მუშაობა ტელევიზიებში, სპეციფიკურ თუ საზოგადოებრივ ჟურნალ-გაზეთებში, კულტურის ექსპერტის, გადაცემების ავტორის, რედაქტორის პოზიციებზე.
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	პროგრამული კონცენტრაცია: ხელოვნებათმცოდნეობა
მიმართულება	ხელოვნება
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	ნატო გენგიური, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. ტ. 893 24 42 78; მობ. ngengiuri@tafu.edu.ge
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, აქედან 40 კრედიტი – კვლევითი, 80კრედიტი - სასწავლო. 2 წელი, 4 სემესტრი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს შესაძლებელია ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი. ბ) ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის წარმატებული ჩაბარება. გ) შიდასუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც, რაც დასტურდება ბაკალვრის/მაგისტრის დიპლომით ან შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით.
მაგისტრანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 5-10 მაგისტრანტის მიღება.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მოამზადოს ხელოვნებათმცოდნე, რომელსაც საფუძვლიანად ეცოდინება ხელოვნების ისტორია (აქცენტით ქართულ ხელოვნებაზე), კულტურული მენკვიდრეობის დაცვასა-შენარჩუნებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები, პროფესიული, ხელოვნებათმცოდნეობითი მეთოდები და ექნება ცოდნის განვითარებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი. სამაგისტრო პროგრამა ამზადებს კვალიფიციურ ხელოვნებათმცოდნეებს, რომლებიც შეძლებენ როგორც პრაქტიკულ ხელოვნებათმცოდნეობით ან ადმინისტრაციულ საქმნიანობას სახელოვნებო და კულტურული მემკვიდრეობის სფეროსთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში, ასევე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კვლევას და, შესაბამისად, სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. პროგრამის კონცეფცია პროგრამა გათვლილია საბაკალავრო საფეხურის ზოგადინფორმაციული ხასიათის განათლების შემდგომ განვითარებაზე, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის გაღრმავებულ და ანალიტიკურ შესწავლაზე. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს ორ სასწავლო-კლევით მიმართულებას, რომლებიც ხელოვნების

	ისტორიის სხვადასხვა პერიოდებზეა ორიენტირებული: ერთი _ XX საუკუნის ხელოვნებას და მეორე _ ხელოვნების ისტორიულ, XX ს-მდე ეტაპებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამაში წარმოდგენილია ორი მოდული: 1. ძველი ქართული ხელოვნება –კვლევა და დაცვა ხელმძღვანელი - ნატო გენგიური, პროფესორი 2. XX საუკუნის ხელოვნება ხელმძღვანელი - ირინე აბესაძე, ემერიტუსი მოცემული მოდულებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს. სტუდენტი ვალდებულია არჩევანი გააკეთოს I სემესტრის დასაწყისში. კონკრეტული მოდულის და, შესაბამისად, მასში შემავალი დისციპლინების არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კვლევით საკითხებზე სურს მუშაობა მაგისტრანტს – ძველი ხელოვნების ისტორიის პრობლემებზე, თუ XX საუკუნის ხელოვნების საკითხებზე. შემოთავაზებული მოდულები საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს აირჩიონ სამაგისტრო საფეხურზე ხელოვნებათმცოდნეობითი დარგის შესწავლისა და კვლევისათვის მათთვის საინტერესო ეპოქა. სტუდენტები არჩეული მიმართულებით დაეუფლებიან ცოდნას, აირჩევენ საკვლევ თემას და შეიძენენ უნარებს, რომლებიც საგანგებოდ სამაგისტრო საფეხურის სტანდარტების შესაბამისად არის მოდელირებული. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი არჩევანი უზრუნველყოფს მაგისტრანტებს აუცილებელი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და უნარ-ჩვევებით.
შედეგები	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრის სახით, მივიღებთ ისეთი პროფესიული ცოდნით და კვალიფიკაციით აღჭურვილ ადამიანს, რომელიც ხელს შეუწყობს ხელოვნების ისტორიის კვლევის და ასევე, თანამედროვე სახელოვნებო პროცესის გაუმჯობესებას მისი ანალიტიკური შეფასების გზით; საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების პროფესიულ შემფასებელთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის მარეგულირებელთა უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებენ. 1. **ცოდნა და გაცნობიერება:** ხელოვნების ისტორიის (არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება) და თეორიის კლასიკურ და ახალ კვლევებზე დამყარებული ღრმა და სისტემური ცოდნა; ხელოვნების ისტორიული ეტაპების ცოდნა: ეპოქის, რეგიონის, ოსტატის დონეზე სტილისტური მახასიათებლების ცოდნა და სტილის მნიშვნელობისა და რაობის გაცნობიერება; ქართული ხელოვნების ისტორიისა და ცალკეული ნაწარმოებების ღრმა ცოდნა და მათი კვლევითი ტექნიკის პრინციპების გააზრება; ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციფიკის, საკვლევი პრობლემატიკის, ხლოვნების ისტორიისა და თეორიის საკითხებს და გაცნობიერება; ხელოვნების შესაწავლის მეთოდების ცოდნა, ხელოვნებათმცოდნეობის დარგობრივი თავისებურებებსა და მისი შესწავლის პროცესის მუდმივობის გააზრება; ისტორიულ/თანამედროვე სახელოვნებო პროცესის თეორიული კვლევის ფორმათა და მეთოდთა ცოდნა და ისტორიულ პროცესთან მისი კავშირის გაცნობიერება; ხელოვნების ისტორიის დამხმარე დისციპლინების ცოდნა (პალეოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და ა.შ.) და მათი მნიშვნელობის გააზრება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა კველვის საქმეში. სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის შემადგენელი მხატვრულ-ფუნქციური-

	ტექნიკური ელემენტების ცოდნა და ახალი ელემენტების გაცნობიერების, კონტექსტში განხილვის უნარი; ხელოვნების ისტორიის და თანამედროვეობის ეთნიკურ- ნაციონალური თუ სტილისტურ-ეპოქალური და კონცეპტუალური მიდგომებით კვლევის თავისებურებათა ცოდნა და მათი ანალიზის ფორმათა გაცნობიერებული დიფერენციაციის უნარი; კულტურული მემკვიდრეობის მართვის, მუზეუმს სპეციფიკას და სამუზეუმო მენეჯმენტის პრინციპების ცოდნა; თანამედროვე პოლიტიკა კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში; კულტურის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის პრინციპები; ქართული ხელოვნების ისტორიის ევროპულსა თუ მსოფლიო პროცესში კვლევის აუცილებლობის გაცნობიერება; სფეროს ფარგლებში არჩეული მიმართულების საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა და მისი სპეციფიკის გაცნობიერების უნარი, თანამედროვე მულტიდიციპლინარული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებისა და ადაპტაციის უნარი. **ბ) უნარი:** ხელოვნების ნაწარმოების სტილისტური, იკონოგრაფიული, კომპარატივისტული, იკონოლოგიური და ა.შ. ანალიზისა და მათი კვლევის პროცესში თანმიმდევრული გამოყენების უნარი; ხელოვნების ცალკეული ნაწარმოების შესწავლა, ეპოქალურ კონტექსტში განხილვა, კვლევისთვის მეთოდოლოგიურ მიდგომათა შერჩევის უნარი; ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხების/პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, სახელოვნებათმცოდნეო კვლევის განხორციელებისა და ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარი. მხატვრობის, ქანდაკების თუ არქიტექტურული ნიმუშების, მათი სინთეზით შექმნილი ხელოვნების ნიმუშების შესწავლის მეთოდებს გამოყების და მათი სისტემატიზაციის უნარი. კულტურული მემკვიდრეობის ახლადგამოვლენილი ნიმუშების შესწავლის, მასთან დაკავშირებული ამოცანების განსაზღვრის და გადაჭრის უნარი. **კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან** დაკავშირებულ პრობლემების გააზრების უნარი, ამ სფეროში სპეციფიკური დილემის გადაჭრის უნარი, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ნიმუშების შესწავლასა და დაცვასთან დაკავშირებული ამოცანების დაგეგმვა, დამოუკიდებლად წარმართვა და განხორციელება. ახალი საკვლევი თემის განსაზღვრის, ხელოვნების ისტორიის შესწავლის მეთოდების, სისტემური და კომპლქსური მიდგომებს დამოუკიდებელად გამოყენების უნარი კომპლექსური საკითხების გადასაჭრელად; კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, მათი შესრულების პროცესის წარმართვა და განხორციელება პროფესიულ დონეზე, როგორც დამოუკიდებლად, ისე ჯგუფში მუშაობისას. ფონდებსა და სხვა ორგანიზაციებთან პროფესიული ურთიერთობის დამყარება, თავისი სამუშაოს მოთხოვნებიდან გამომდინარე; საკონფერენციო მოხსენების, სამეცნიერო სტატიის მომზადების პრინციპების ფლობა და მათი პრაქტიკაში გამოყენება; საკუთარი მოსაზრების საჯარო პრეზენტაციის და არგუმენტირებულ დასაბუთების უნარი, საზოგადეობისთვის მოსაზრებისა და ცოდნის გადაცემის უნარი: პროფესიულ, ისე არაპროფესიონალურ წრეებთან (მ.შ. უცხოელებთან), მოსწავლეებთან, სტუდენტებთან პროფესიული კომუნიკაციის დამყარების, ცოდნის გადაცემის უნარი. აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით, არგუმენტირებული მსჯელობის, საკუთარი პოზიციის კომუნიკაციაში გაზიარება; ხელოვნების ისტორიის მხატვრულ-კულტურული საკითხის, ასევე უცნობი და

	შეუსწავლელი ძეგლის, ხელოვნების ნიმუშის შესწავლისას, შედარებითი ანალიზისა და სხვა შესაბამის მეთოდთა გამოყენებით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებული დასკვნების ფორმულირების უნარი. **გ) პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა** ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის , როგორც ღირებულების გააზრება თანამედროვე ფასეულობათა სისტემაში. პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერება და კულტურული ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის დამოუკიდებლად შეტანის უნარი.პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებში წვლილის შეტანის უნარი. არაპროგნოზირებადი სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. საკუთარი სწავლის და თვითგანვითარების დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.
დასაქმების სფეროები	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ მაგისტრს, საკვალიფიკაციო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის შემდეგ, შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში; უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, კვლევითი ცენტრი; მუზეუმები, გალერეები; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციები; კულტურის პროფილის ფონდები; ხელოვნებისა და კულტურის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციები; ტურისტული სააგენტოები; მედიის სფეროში, კულტურის მიმართულების განყოფილებებში.
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	პროგრამული კონცენტრაცია: **ეთნო _ ქორეოლოგია** (ქართული ქორეოგრაფიის მკვლევარი)
მიმართულება	ჰუმანიტარული მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, ძირითადი
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი (ქორეოლოგია)
პროგრამის ხელმძღვანელი	ანანო სამსონაძე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ტ. 95-96-64 მობ. 893-55-15-36 ე-მაილ: ანანოსამსონადზე@მაილ.რუ
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, აქედან 40 კრედიტი – კვლევითი, 80კრედიტი -სასწავლო. 2 წელი, 4 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრის/ ხელოვნების ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს შესაძლებელია ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი. ბ) ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის წარმატებული ჩაბარება. გ) შიდასუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც, რაც დასტურდება ბაკალვრის/მაგისტრის დიპლომით ან შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით.
მაგისტრანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 5-10 მაგისტრანტის მიღება.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამა ეთნო-ქორეოლოგიაში მიზნად ისახავს ქართული საცეკვაო (აუთენტური და სასცენო) ხელოვნების მკვლევართა (ისტორიკოს _ თეორეტიკოსებისა) და კრიტიკოსთა აღზრდას, რომელთა სრულფასოვანი ცოდნა დაეხმარება მათ აწარმოონ პროფესიული საქმიანობა ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის დარგში. პროგრამის მიზანია შესძინოს მაგისტრანტს სამეცნიერო კვლევის ძირითადი უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენებით იგი შეძლებს თეორიული კვლევის წარმართვას ქართულ საცეკვაო ფოლკლორში არსებული ნებისმიერი პრობლემის ირგვლივ. შეასწავლოს: ქართული საცეკვაო ნიმუშის პროფესიული ანალიზი და ქართული აუთენტური და სასცენო საცეკვაო ნიმუშის ფიქსირება (ჩაწერა პირობითი ნიშნების მეშვეობით და ლიტერატურული აღწერით); თემატური ბიბლიოგრაფიული კატალოგების შედგენა დამუშავება; საგაზეთო და საჟურნალო მასალის მომზადება (საკონცერტო პროგრამის ან კონკრეტული საცეკვაო ნომრის რეცენზირება, შემოქმედებითი პორტრეტის შედგენა, ინტერვიუს ჩაწერა და ა.შ.); თემატური

	სალექციო კურსის წაყვანა (მაგ., `ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში~) სახელოვნებო დაწესებულებებში. პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან: პროგრამა შეესაბამება მისიაში ფორმულირებულ მიზნებს, რამდენადაც მისი თემატიკა განისაზღვრება ხელოვნებათმცოდნეობითი (ქორეოლოგიის) საკითხებით.
შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება - აქვს ქორეოგრაფია-ქორეოლოგიია სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ეთნო-ქორეოლოგიაში არსებული ცოდნის საფუძველზე, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გზით (რეფერატი, ნარკვევი, საკურსო ნაშრომი, სამეცნიერო პუბლიკაცია, საკონფერენციო მოხსენება და ა.შ.) ახალი ცოდნის შექმნა და მისი დანერგვა (გამოყენება) ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების საშემსრულებლო პრაქტიკაში. ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის ინტერდისციპლინარული ბუნების გათვალისწინებით კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; დასკვნის უნარი - საკვლევი თემის ირგვლივ ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესახებ არსებული მასალის (არქეოლოგიური, ლიტერატურული, მუსიკალური, აუდიო, ვიდეო მასალის) შეგროვება-შესწავლის და სისტემატიზაციის გზით ლოგიკური დასკვნების გაკეთება და მათი გამოყენებით კვლევის წარმართვა. ქორეოლოგიურ მეცნიერებაში არსებული არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; კომუნიკაციის უნარი - ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის თემატიკის ირგვლივ კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; სწავლის უნარი -ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის სფეროში საკუთარი სამეცნიერო ინტერესების განსაზღვრა და მათთან დაკავშირებული სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; ღირებულებები - ქართული ტრადიციული ხელოვნების, ქორეოგრაფიული ფოლკლორული მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული ღირებულებების გააზრება-განსაზღვრა. ტრადიციული და ახლად შექმნილი (სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში არსებული) ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.
დასაქმების სფეროები	თემატურ (სახელოვნებო და ფოლკლორულ) კვლევით პროგრამებში მონაწილეობა, (მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საპრეზიდენტო პროგრამაში და საქართველოს ფოლკლორის
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ზოგადი ინფორმაცია	
დასახელება	სამაგისტრო პროგრამა: **არტჟურნალისტიკა** (მედიის კვლევები)
აკრედიტაცია	22.12.2021. (7 წლით)
მიმართულება	სოციალური მეცნიერებები
პროგრამის სტატუსი/აკადემიური საფეხური	მაგისტრატურის აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
სწავლების ენა	ქართული ენა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი MA in Mass Communications
პროგრამის ხელმძღვანელი	გიორგი ჩართოლანი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი. ტ.+99532 999 606; მობ. +99577 500 326; gchartolani@tafu.edu.ge ნანა დოლიძე - ასოცირებული პროფესორი; ndolidze@tafu.edu.ge რევაზ ჭიჭინაძე - ასოცირებული პროფესორი rchichinadze@tafu.edu.ge
პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა	120 კრედიტი, 40 -კრედიტი კვლევითი, 80 კრედიტი -სასწავლო
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; გ) შიდასაუნივერსიტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა შედგება სააპლიკაციო პაკეტისაგან და ინტერვიუსაგან. სააპლიკაციო პაკეტში უნდა შედიოდეს: აპლიკანტის CV (ავტობიოგრაფია), სამოტივაციო წერილი (ესე), რომელშიც აპლიკანტი აღწერს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას; გასაუბრება, რითაც დგინდება აპლიკანტის მომზადების დონე და უნარი აითვისოს საგანმათლებლო პროგრამა. სასურველია, აპლიკანტმა წამოადგინოს ადრინდელი ნაშრომი/პროექტი/სტატია, რომელიც საუკეთესოდ ასახავს აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი წარმოადგენს არტჟურნალისტიკის ან მედიაარტის სფეროში მანამდე შესრულებულ თეორიულ ან პრაქტიკულ ნამუშევარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, თავისუფლდება გასაუბრებისგან. დ) მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს უცხო ენას (ინგლისური) B2 დონეზე მაინც, რაც დასტურდება ბაკალავრის/მაგისტრის დიპლომით ან შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით (TOEFL(P/B მინიმუმ 513 points; I/BT მინიმუმ 65 points); IELTS (მინიმუმ 5.5 points); FCE).
მაგისტრანტთა რაოდენობა	არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 10-12 მაგისტრანტის მიღება. (თითოეულ მოდულზე 5-6 მაგისტრანტი)
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	დახასიათება/ პროგრამის კონცეფცია პროგრამა გათვლილია საბაკალავრო საფეხურის ზოგადინფორმატიული ხასიათის განათლების შემდგომ განვითარებაზე.

	სამაგისტრო პროგრამის მიზანია, პროფილური მეცნიერებების თეორიული საბაზისო საფუძვლების მცოდნე მაგისტრანტებს შეასწავლოს დარგობრივი დისციპლინები, მისცეს სპეციალური ცოდნა და გამოუმუშაოს ახალი უნარები, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ კონკურენტულ გარემოში როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს დამსაქმებლების მხრიდან კურსდამთვრებულთა პროფილურ დასაქმებას. პროგრამის მიზანია, მაგისტრანტებს გამოუმუშაოს ხელოვნების დარგების პროფესიული შეფასების და ანალიზის უნარი; შეასწავლოს მედიის კვლევის მეთოდოლოგია, მედიაპროდუქტის ანალიზი და შეფასება. პროგრამის მიზანია შრომის ბაზარი მოამარაგოს პრაქტიკოსი არტჟურნალისტებით, მისცეს მათ მულტიმედიური პლატფორმებისთვის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ხელოვნების საკითხებზე მედიაპროდუქტის შექმნის ცოდნა; მისცეს მაგისტრანტებს მედიაპლატფორმების გამოყენებით ხელოვნების ნიმუშების პოპულარიზაციის ცოდნა; პროგრამის მიზანია, მაგისტრანტებს მისცეს ცოდნა ხელოვნების სფეროს ჟურნალისტიკის განვითარებისა და პოპულარიზაციის საკითხებში.
შედეგები	1. ხელოვნების საკითხების გაშუქებაზე ორიენტირებული თანამედროვე არტჟურნალისტი იცნობს სახელოვნებო სივრცეს, იცის ხელოვნების ტრადიციული და თანამედროვე დარგები, შეუძლია ხელოვნების ნიმუშების მრავალმხრივი ანალიზი, პროფესიული შეფასება; იცის მასობრივი კომუნიკაციის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და მედიაგარემო; იცის მედიაპროდუქტის კვლევა; შესაბამისი პროფესიული ტერმინოლოგია; პასუხისმგებელია მედიაპროდუქტის შეფასებისას გამოთქმული მოსაზრებების სიზუსტეზე; აქვს არგუმენტირებული მსჯელობის, დასკვნების გაკეთების უნარი; 2. აქვს ანალიზის და თვალსაზრისის წარმოჩენის უნარი; აქვს სამეცნიერო-კველევითი და პრაქტიკული ნაშრომის მომზადების, პრეზენტაციის და საჯაროდ წარმოდგენის ცოდნა და უნარი; შეუძლია წყაროებზე ავტონომიურად მუშაობა და მასალის მოძიება, დახარისხება და სისტემატიზაცია; აქვს შესაბამისი სოციალური, სამეცნიერო ან/და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით, სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების უნარი. 3. აქვს უნარი მოამზადოს ხელოვნების და კულტურის თემატიკაზე ჟურნალისტური ნაწარმოებები ყველა სახის მედიაპლატფორმისთვის; იცის პირდაპირ ეთერში მუშაობა, აქვს გადაცემის წამყვანის უნარი; იცის სახელოვნებო პროფილის ტელე და რადიო საავტორო გადაცემების, სატელევიზიო ფილმების მომზადება; პასუხისმგებელია სამაუწყებლო მედიაში შემოქმედებითი პროექტების ხელმძღვანელობაზე; 4. აქვს მხატვრულ-შემოქმედებითი მედიაპროდუქტის დამოუკიდებლად შექმნის ცოდნა; აქვს სახელოვნებო თემატიკაზე მულტიმედიური პროექტების დამოუკიდებლად შექმნის და ინტერნეტპლატფორმებზე მათი განთავსების უნარი; იცის როგორ გამოიყენოს სოციალური მედია სახელოვნებო პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით; პასუხისმგებლია სოციალურ მედიაში მასალის განთავსების სიზუსტეზე; შეუძლია პროდუქციის შექმნა ბლოგების, ვლოგებისა და პოდკასტებისათვის; აქვს დამოუკიდებელი მუშაობის უნარი; აქვს პროფესიული კომუნიკაციის უნარი; აქვს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენებისა და მულტიმედიური თხრობის უნარი; აქვს თვითშეფასების უნარი. 5. პასუხისმგებელია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულ და მრავალმხრივ შეფასებაზე; პასუხისმგებელია სწავლის და მუშაობის პროცესში მონათესავე დისციპლინების მონაცემთა გამოყენების მართებულობაზე; ეს პუნქტები მოიცავს იმ ცოდნას, უნარს და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რაც მიიღწევა კურიკულუმის კურსების შესწავლის და პროფესორ - მასწავლებლების მიერ

	მაგისტრებისთვის სასწავლო კურსების მიღმა დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების გაზიარების შედეგად.
დასაქმების სფეროები	სამაუწყებლო კომპანიები; ვებმაუწყებლობები; ინტერნეტგამოცემები; ბეჭდური მედია; სოციალური მედია; საინფორმაციო სააგენტოები; საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სამსახურები; კულტურულ-სახელოვნებო ორგანიზაციების პრესსამსახურები; სარეკლამო სააგენტოები; საგანმანათლებლო სივრცე; სარედაქციო საქმიანობა;
პროგრამის განვითარება	შემდგომ აკადემიურ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კულტურული ტურიზმი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**კულტურული ტურიზმი**
აკრედიტაცია	**12.07.2022. გად.N 794330 (7 წლით)**
საფეხური	**მაგისტრატურა**
პროგრამის ტიპი	**აკადემიური; ძირითადი**
სწავლების ენა	**ქართული**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**ტურიზმის მაგისტრი (კულტურულ ტურიზმი)**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	**120 კრედიტი**
სწავლის ხანგრძლივობა	**4 სემესტრი**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ა) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა – ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება. ბ) სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის, მასთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი – სასურველია ჰქონდეს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის/ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. გ) შიდასუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში. მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც, რაც დასტურდება ბაკალვრის/მაგისტრის დიპლომით ან შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით.
დასაქმების სფერო	1. პროფესიული კოლეჯები (ტურიზმის სპეციალობით); 2. სასწავლო ინსტიტუტები; 3. ტურისტული სააგენტოები; 4. ტუროპერატორული კომპანიები; 5. ტურიზმისა და რეკრეაციის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები; 6. კურორტებისა და ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი; 7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.
პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამის მიზანია, პროფილური მეცნიერებების თეორიული საბაზისო საფუძვლების მცოდნე მაგისტრანტებს შეასწავლოს დარგობრივი დისციპლინები, მისცეს სპეციალური ცოდნა და გამოუმუშაოს ახალი უნარები, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ კონკურენტულ გარემოში როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს დამსაქმებლების მხრიდან კურსდამთვრებულთა პროფილურ დასაქმებას. პროგრამის მიზანია, მაგისტრანტებს გამოუმუშაოს კულტურული ტურიზმის სფეროს პროფესიული შეფასების და ანალიზის უნარი; შეასწავლოს კვლევის მეთოდოლოგია, კულტურულ ტურისტული პროდუქტის ანალიზი და შეფასება. პროგრამის მიზანია შრომის ბაზარი მოამარაგოს პრაქტიკოსი კულტურული ტურიზმის სპეციალისტებით, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნიან კულტურული ტურიზმის თემატურ პროდუქტს; მისცეს მაგისტრანტებს ღრმა და სისტემური ცოდნა ინოვაციური მეთოდების გამოყენებით კულტურული

	ფენომენების ტურისტული განვითარებისა და პოპულარიზაციის საკითხებში. ამ მხრივ, თანამედროვეობის უმთავრესი ამოცანაა კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების, ქართული მართლმადიდებლური რიტუალების, ტრადიციული თავისებურებებისა და ფენომენების შენარჩუნება-კონსერვაცია, რაც საბოლოო ჯამში, ქვეყნის (რეგიონის) ტურისტულ-რეკრეაციული ინდუსტრიის განვითარებისა და სტაციონარული მენეჯმენტის საფუძველს წარმოადგენს. კულტურული ტურიზმი დამოუკიდებელი მიმართულებაა, რომელსაც საკუთარი კვლევის საგანი და მეთოდები აქვს. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაში „კულტურული ტურიზმი“ სფეროს პრიორიტეტული მიმართულებებია: კულტურული ტურიზმის მართვის სფეროში ცოდნის გაფართოვება და გაღრმავება, კულტურული ტურიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების და საშუალო რგოლის დარგის მენეჯერების დონეზე ექსპლუატაციის პირობების სწავლება. კულტურული ტურიზმის მართვის თავისებურება მდგომარეობს კულტურული, ჰუმანიტარული, სოციალური და ბიზნესის რესურსების ოპტიმალურ შეთანაწყობაში, რომლის დროსაც წინა პლანზე გამოდის ატრაქტიული, კონკურენტუნარიანი, ხარისხობრივად მაღალი მახასიათებლის მქონე კულტურული ტურისტული პროდუქტი. კულტურული ტურიზმის სფერო არ არის მოწყვეტილი სხვა დარგებისგან. კურსდამთავრებულმა კარგად უნდა იცოდეს: ტურიზმის სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპები; ინოვაციური პროცესებია მართვის ტექნოლოგიები ტურიზმში; ერკვეოდეს კულტურული ტურიზმის ბაზრის მარკეტინგში, ტურიზმში ფინანსური აღრიცხვისა და მენეჯმენტის თავისებურებებში, მსოფლიოს და საქართველოს კულტურული ტურიზმის ცენტრების განვითარების წინაპირობების შედარებით ანალიზში.
შედეგები	საქართველოს კულტურული ტურიზმის ბაზრის სეგმენტზე ორიგინალურ იდეების დაგეგმვა და განხორციელება; კულტურული ტურიზმისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური პრობლემების (სოციალური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვ.) იდენტიფიცირებას და გადაჭრის ღონისძიებების დაგეგმვა; კურსდამთავრებული შეიმუშავებს კულტურული ტურიზმის ცალკეულ სფეროებში მენეჯმენტის ოპტიმალური ვარიანტებს, კულტურული ტურიზმის რესურსების რაციონალურ ათვისებასა და პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას; სოციო-კულტურულ სივრცეში გარემოს რეგულირების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებებს, თვისობრივი შემეცნებით-ტურისტული მახასიათებლების გამოვლენისა და მათი ოპტიმალური რეალიზაციის მექანიზმებს; კურსდამთავრებული უზრუნველყოფს კულტურული ტურისტული პროდუქტის დამუშავებას, მასზე ფასის შედგენას, სარეალიზაციო ადგილის შერჩევას და პროდუქტის ბაზარზე წინ წაწევას; ინფრასტრუქტურის ელემენტების კულტურული ტურიზმის სისტემაში შეთავსებას, პრაქტიკაში დანერგვას და ეკონომიკური სარგებლიანობის მიღწევას. კულტურული ტურიზმის ბაზრის სეგმენტში ჩატარებული კვლევის შედეგების არგუმენტირებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ დასაბუთებას მაღალ აკადემიურ დონეზე; ახკურსდამთავრებული ორციელებს კულტურული ტურიზმის პროექტების შემუშავების პროცესში, კრიტიკული ანალიზისა და ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე, ინოვაციური მართვის სისტემებში აპრობირებული მეთოდების გამოყენებას; კულტურული ტურიზმის თემატიკაზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების პრეზენტირებას, როგორც კოლეგების წრეში, ასევე დაინტერესებულ საზოგადოებისათვის; კურსდამთავრებული ავითარებს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებს; ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაციას ტურიზმში ახლი

	საინფორმაციო მიღწევების გაცვლის მიზნით; მონათესავე სფეროებში (მომსახურებისა და ბუნებათმცოდნეობის დარგები) თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის გონივრულ წარმართვას; სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნესის ცალკეული კომპონენტების გრძელვადიანი პროგნოზირების უზრუნველყოფას; ის ინოვაციური მიდგომებისა და კვლევის მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ქმნის კვლევით ნაშრომს, წარუდგენს როგორც დარგის წამყვან სპეციალისტებს, ასევე დარგით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. გამოაქვს საინტერესო დასკვნები და რეკომენდაციები: კულტურული გარემოს ტექნოგენური რესურსების ანთროპოგენური მოდიფიკაციების ეფექტურ რეალიზაციის შესახებ; გამომუშავებული აქვს სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის უტყუარი ალღო, რაც მიღებული შედეგების ობიექტური შეფასებების მიღწევას უზრუნველყოფს. მაგისტრი ხარისხი საშუალებას იძლევა კურსდამთავრებულმა სწავლა განაგრძოს შემდგმ საფეხურზე.

ხელოვნების მენეჯმენტი

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის საგნამანთლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ხელოვნების მენეჯმენტი**
აკრედიტაცია	**28.11.2018 (7 წლის ვადით)**
საფეხური	**მაგისტრატურა**
პროგრამის ტიპი	**აკადემიური; ძირითადი**
სწავლების ენა	**ქართული**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**მენეჯმენტის მაგისტრი, (ხელოვნების მენეჯმენტი)**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	**120 კრედიტი**
სწავლის ხანგრძლივობა	**4 სემესტრი.**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ა) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა – ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება. ბ) სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის, მასთან გათანაბრებული ან მეტი აკადემიური ხარისხი – სასურველია ჰქონდეს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ბაკალავრის აკადემიური

	ხარისხი. გ) შიდასუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში. მაგისტრობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე მაინც.
დასაქმების სფერო	საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მიღების შემდეგ მაგისტრის საქმიანობა უპირატესად ხორციელდება კულტურისა და ხელოვნების სფეროს ორგანიზაციებში, აგრეთვე სხვა პროფილის არაკომერციულ და კომერციულ ორგანიზაციებში მაღალი და საშუალო მმართველობითი რგოლის შესაბამის თანამდებიბეზე, აგრეთვე სახელმწიფო მართვის სისტემაში. მათი საქმიანობის ძირითადი სახეებია: საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, საკონსულტაციო-ექსპერტული, სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და სხვა სახის საქმიანობა. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში ან იმუშაონ კომპეტენციების მიხედვით კულტურისა და ხელოვნების სფეროს სხვადასხვა ინსტიტუციებში.
პროგრამის მიზანი	**სამაგისტრო პროგრამის მიზანია** მოამზადოს თანამედროვე ბიზნეს-გარემოზე, მის ცვალებად და მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებული, პროფესიონალი, რომელიც ბიზნესის ადმინისტრირების ერთ-ერთ დარგში ხელოვნების მენეჯმენტში ღრმა და სისტემური თეორიული, ემპირიული და პრაქტიკული ცოდნა ექნება. პროგრამა ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოური (ქვეყნის გარეთ არსებული) სახელოვნებო სივრცის მართვის, ანალიტიკასა და კვლევებში მოღვაწე პროფესიონალი სპეციალისტების აღზრდაზე. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტურის სფეროს მართვის პრიორიტერული მიმართულებებია: კულტურის სფეროს მართვის საკითხები, საშემსრულებლო და გამომსახველობითი ხელოვნების მენეჯმენტი, კინო-ტელე მენეჯმენტი, სამუზეუმო მენეჯმენტი, ფანდრაიზინგი და სპონსორობა, პროექტების მენეჯმენტი, ღონისძიებების მენეჯმენტი და არტმარკეტინგი და ა.შ.
შედეგები	**ა) ცოდნა და გაცნობიერება** თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული სრულყოფისათვის აუცილებელი სპეციალური დისციპლინების მენეჯმენტის, ძირითადად, ხელოვნების მენეჯმენტის სფეროში, სიღრმისეული ცოდნა; მენეჯმენტის არსისა და სოციალური მნიშვნელობის, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მენეჯერის საქმიანობის სიღმისეულ ცოდნა; • სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგი ანალიზის უნარი; კვლევისა და მართვის თანამედროვე მეთოდების, მარკეტინგის მენეჯმენტის, კონფლიქტებისა და რისკების მართვის, ანტიკრიზისული და ინოვაციური მენეჯმენტის, ხელმძღვანელობის სტილისა და მართვის ეფექტიანობის, არაკომერციული ორგანიზაციებისა და კულტურისა და ხელოვნების სფეროს მართვის შესახებ ღრმა ცოდნა;

	ინფორმაცია მსოფლიოსა და საქართველოში კულტურისა და ხელოვნების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებსა და მართვის სისტემების შესახებ, მართვის, ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების შესახებ, რაც აუცილებელია სწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების მისაღებად. ცოდნა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების განვითარების ისტორიის, თანამედროვე მდგომარეობისა და პერსპექტივების, აღნიშნული სფეროს ეფექტიანი მართვის, ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის საკვანძო საკითხებში. **ბ) უნარი:** უპირატესად კულტურისა და ხელოვნების სფეროში მართვისა და ადმინისტრირების საკვანძო საკითხებთან დაკავშირებული ამოცანების დაგეგმვა და პროფესიულ დონეზე დამოუკიდებლად განხორციელება კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; • აუცილებლობის შემთხვევაში, შეძენილი გამოცდილების მეცნიერების განვითარებისა და ცვალებადი სოციალური პრაქტიკის გათვალისწინებით გადაფასება, თავისი ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება; • კულტურისა და ხელოვნების სფეროს პროექტებისა და პროგრამების შედგენა და რეალიზების პროცესში აქტიურად მონაწილეობა; • მენეჯერის, ანალიტიკური, სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო - პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს; რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი, მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და დაინტერესებული და უფლებამოსილი პირებისათვის კვლევის შედეგების გაცნობის უნარს. კულტურისა და ხელოვნების მართვის სფეროში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების და კონკრეტული სიტუაციების, უახლესი ინფორმაციისა და მონაცემების სისტემური ანალიზის, შეფასებისა და განზოგადების საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი; • რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზის, მოსაზრებების ჩამოყალიბებისა და დაინტერესებული და უფლებამოსილი პირებისათვის კვლევის შედეგების გაცნობის უნარი. • თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად და შემოქმედებითად გამოყენების საფუძველზე კულტურისა და ხელოვნების მართვის საკითხებზე მოხსენებების, ანგარიშების, რეფერატების, სტატიების წერილობითი სახით მომზადება. • კულტურისა და ხელოვნების მართვის საკითხებზე აკადემიურ წრეებსა და სპეციალისტებთან კომპეტენტურად მსჯელობის, აგრეთვე, საკუთარი მოსაზრებების როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე (ენებზე) პრეზენტაციის უნარი. **ვ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** კულტურისა და ხელოვნების მართვის სფეროში ღირებულებებისადმი თავისი და მასთან ურთიერთობაში მყოფთა დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; არაპროგნოზირებადი სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.
პროგრამის განვითარება	**სამაგისტრო პროგრამის "ხელოვნების მენეჯმენტი" განვითარება** შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სადოქტორო დონეზე.